ს ს ი პ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

20.06.2014 №121

თბილისი

სტუ-ს ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილი სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დებულებისა და ინსტიტუტის დირექტორის 2014 წლის 13 ივნისის №02.02.2/29 წერილის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ინფორმატიკის განყოფილების გამგის თანამდებობების დასაკავებელი კონკურსი დანართი №1-ით განსაზღვრული პირობებით.
2. კონკურსში მონაწილეთა განაცხადების მიღება დაიწყოს 2014 წლის 21 ივნისს და დასრულდეს 2014 წლის 27 ივნისს. საბუთები მიიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილი სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტში. (მის: აკურის ქ.№8 ტელ: 2 33 24 38), 10 საათიდან – 16საათამდე, (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა).
3. კონსურსი ჩატარდეს 2014 წლის 30 ივნისს, შედეგები გამოცხადდეს 2014 წლის 2 ივლისს.
4. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ, დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნდეს პრესაში და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიცილურ ვებ გვერდზე;
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზა:
სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტემენტის უფროსი ბ. მაისურაძე

დანართი №1.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილი სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის პირობები

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

1. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
2. კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);
3. ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
4. გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;
5. სამეცნიერო გრანტებისა და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაციის ჩამონათვალი (სასურველია);
6. შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა.

ვაკანტური საკონკურსო თანამდებობის დაკავების წესი

ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს უმაღლესი განათლების მქონე პირმა, თუ მას შესაბამის სფეროში აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი და მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება.

კონკურსში მონაწილეობისთვის **აუცილებელია** საბუთების **წარმოდგენა ბეჭდური ფორმით.** ყველა კონკურსანტი **ვალდებულია** საბუთების **ბეჭდურ ფორმებთან ერთად ელექტრონული ფორმით** წარმოადგინოს: კალენდარული ავტობიოგრაფია (CV); გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი; შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა. ელექტრონული ვერსია უნდა იქნეს მოწოდებული დისკით, ან გაიგზავნოს მისამართზე compmathge@gmail.com